# საინფორმაციო ბიულეტენი | აგვისტო

## საბჭო აქტიურად აგრძელებს მუშაობას ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესასრულებლად

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ძალისხმევის გასაძლიერებლად გენდერული თანასწორობის საპარლამენტო მუდმივმოქმედმა საბჭომ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან ერთად ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აგვისტოს თვეში ორი სამუშაო შეხვედრა გამართა.

**5 აგვისტოს გამართულ სამუშაო შეხვედრაზე** დისკუსიის ფორმატში განხილულ იქნა ევროკავშირის მიერ ქვეყნის მიმართ გაცემული მე-9 რეკომენდაციის შესრულების შინაარსობრივი მხარე და ამ მიმართულებით განსახორციელებელი სამომავლო ნაბიჯები განსაკუთრებით სტამბოლის კონვენციის ფარგლებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით.

**17 აგვისტოს გამართულ შეხვედრაზე** კი განხილულ იქნა ყველა ის ინიციატივა, რომლებსაც გენდერული თანასწორობის საბჭო სამოქალაქო სექტორს რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში სთავაზობს. ამჯერად დისკუსია გაიმართა ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის მეორე ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება როგორც ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას და სახელმწიფო პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის სტრატეგიულ გრძელვადიან მიდგომას, ასევე კვოტირების გაფართოებისა და მისი უფრო წარმატებით აღსრულების საკითხებს.

საკონსულტაციო ჯგუფთან შეხვედრას ესწრებოდნენ პარტნიორი დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე იმ საჯარო უწყებების წარმომადგენლები, რომლებთანაც გენდერული თანასწორობის საბჭოს აქტიური სამუშაო რეჟიმი აკავშირებს.

## თემატური მოკვლევა „ქალებისა და გოგოებისთვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ

თემატური მოკვლევის „ქალებისა და გოგოებისთვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ'' ფარგლებში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო აგვისტოს თვეში ვიზიტით ეწვია რამდენიმე რეგიონს. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები ფოკუს ჯგუფების ფორმატში **თეთრიწყაროს, დედოფლისწყაროს, გორის, ქობულეთისა და ამბროლაურის** მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქალების მონაწილეობით.

თემატური მოკვლევის მიზანია საქართველოს რეგიონებში ინფრასტრუქტურის მიმართულებით არსებული ხარვეზების, გამოწვევებისა და პრობლემების შესწავლა ქალთა და გოგოებისათვის რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის და ამრიგად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;



# საინფორმაციო ბიულეტენი | აგვისტო

## თემატური მოკვლევა ქალების წვდომა ფინანსურ რესურსებზე

თემატური მოკვლევის ფარგლებში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო ახორციელებს თემატურ შეხვედრებს საქართველოს რეგიონებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, რეგიონებში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მეწარმე ქალებთან, რომლებიც რეგიონებში ახორციელებენ საქმიანობას.

ვიზიტის ფარგლებში აგვისტოს თვეში საბჭო ეწვია **ამბროლაურის, თელავისა და გორის მუნიციპალიტეტებს.**

თემატური მოკვლევის მიზანია ქალების ეკონომიკური გაძლიერებისა და სამეწარმეო ფინანსურ რესურსებზე ქალების წვდომის მიმართულებით არსებული გამოწვევების გამოვლენა და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება.

## აგვისტოს თვეში საბჭომ გაავრცელა ორი განცხადება

**12 აგვისტოს** საბჭო გამოეხმაურა ოზურგეთში ფემიციდის შემზარავ შემთხვევას და ხაზი გაუსვა დანაშაულის აღკვეთისთვის მნიშვნელოვან პრევენციულ ღონისძიებებს, მათი აღსრულების მნიშვნელობასა და ეფექტური მონიტორინგის აუცილებლობას.

**16 აგვისტოს განცხადებით** საბჭო გამოეხმაურა რეკომენდაციის ფარგლებში ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ დანერგილ ახალ პროგრამას, რომელიც მარნეულისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში ახალი სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად, ქალების ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას ითვალისწინებს.

## შეხვედრა ოჯახში ძალადობის ან/და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის წესის განხილვის მიზნით

მიმდინარე წლის 5 აგვისტოს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლისთვის გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის განხილვის მიზნით სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის ფარგლებში განვიხილეთ სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის პროექტი შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით.

## შეხვედრა აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებთან

მიმდინარე წლის 9 აგვისტოს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრებმა აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართეს.

მხარეებმა შეხვედრაზე ისაუბრეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონმდებლობაზე, რომლის აღსრულების ნაწილში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ექსპერტიზის უზრუნველყოფა გარკვეულ სირთულეებს იწვევს.

# საინფორმაციო ბიულეტენი | აგვისტო

## მუშაობა სტამბულის კონვენციის ფარგლებში ახალი საკანონმდებლო ცვლილების პაკეტზე

მიმდინარე წლის 26 აგვისტოს გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით შემუშავებული ცვლილებების პაკეტი.

პროექტი მიზნად ისახავს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციის (ე. წ. სტამბულის კონვენციის) დებულებების იმპლემენტაციას ეროვნულ კანონმდებლობაში.

სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ პარტნიორი დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე რელევანტური საჯარო უწყებების წარმომადგენლები.

## ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნული სტრატეგიის პრეზენტაცია

მიმდინარე წლის 30 აგვისტოს გენდერული თანასწორობის საბჭომ მონაწილეობა მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრაში. შეხვედრის ფარგლებში მოხდა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის პრეზენტაცია.

სტრატეგია გამოეხმაურება ევროკომისიის 12 პუნქტიანი გეგმის შესრულების პროცესში დასახულ არაერთ ამოცანას და ამ თვალსაზრისითაც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

## სამუშაო შეხვედრა სექსუალური შევიწროების ამკრძალავი ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლთან დაკავშირებით

მიმდინარე წლის 29 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, იურიდიულ საკითხთა კომიტეტებისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, სამუშაო ადგილზე და საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ამკრძალავი ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

აღნიშნული მიმართულებით, ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლზე მომუშავე ჯგუფმა სამუშაო შეხვედრაზე განიხილა მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა საკანონმდებლო მიმართულებით არსებული ნაკლოვანებები, რომლებიც საჭიროებს შემდგომ მუშაობას და შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას კანონმდებლობაში.